



საქართველოს საგაოთა ცენტრალური რესეუბრის ცკ პრეზიდენტი

გთავაზობის

დადგენილებათა და განხარგულებათა პრეზიდენტი

1939 წ. ავგუსტი 20

№ 18

მიზანი

მ ი ნ ა რ ხ ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

✓ 71. „კოლმეურნეობებში სახოგადოებრივი მუცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა საობაზე“ სსრ კავშირის სახკომისაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივნისის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

72. ქ. თბილისში ნებადაურნეველი და უპროექტო მშენებლობის ლიკვიდაციისა და ახლად ასათვისებელი ტერიტორიების აღნაგობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

73. „სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ.
ცენტრალური კომიტეტის დაწესებება

71. „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცნოგელეობის განვითარების ღონისძიებათა თაობაზე“ სსრ კავშირის სახკომშაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცნოველობის განვითარების საქმეში.

1939 წლის 1 ივნისისათვის მცხოვრელობის საკოლმეურნეო ფერმების რაოდენობა შეადგინა 3.521-ს, ხოლო პირუტყვის სულადობა ფერმებში 1934 წლის 1 იანვრიდან 1939 წლის 1 იანვრამდე გაიზარდა: მსხვილფეხა რეანი პირუტყვის — 122,6 ათას სულამდე ანუ 176,7%-ით, ცხვრისა და ოხის — 585,2 ათას სულამდე ანუ 289,9%-ით, ღორის — 31,1 ათას სულამდე ანუ 148,9%-ით.

1939 წლის პირველ ნახევარში მოწყობილია 325 მეცხოველეობის ახალი საკოლმეურნეო ფერმა 3939 სული მსხვილფეხა ჩქიანი პირუტყვით და 8490 სული ცხვარითა და თხით.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტოულობის ამაღლებისათვის. 1938 წელს საკოლმეურნეო ფერმებში ძროხების 57,4% დაგრილებული იყო ჯიშიანი მწარმოებლებით, ცხერების 83,5%, ჯიშიანი ყოჩებით და ძირითადად ლორების თითქმის მთელი სადედე სულადობა მეტიზებულ იქნა.

იმ უდიდესი დახმარების შედეგად, რომელიც პარტიამ და მთავრობამ კოლმეურნეობებს გაუწიეს, ლიკვიდირებულია კოლმეურნეთა უძროხობა და საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი ყოველ-გვარი სახის პირუტყვისა და ტრინკელის რაოდენობა.

1934 წლიდან 1938 წლამდე სახელმწიფო საბჭოთა მეურნეობებიდან, აგრეთვე კოლმეურნეობათა მეცხოველობის ფერმებიდან კოლმეურნებს გადაეცა 80.000 სული ხბო, 81.000 სული ღორი და 83.000 სული ცხვარი და თხა. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მიეცა კოლმეურნებს ძროხებისა და სხვა სახის პირუტყვის შესაძნად 3.372 ათასი მანეთის სახელმწიფო გრძელვადიანი კრედიტი.

კოლმეურნეობებში გამოიჩარდენ სოციალისტური მეცხოველეობის მოწინავთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც დაუფლენ კოლმეურნეობათა მეცხოველეობის საზოგადოებრივი მუსიკობის სწორად გაძლოლის საქმეს.

მეცხოველეობის ზრდისა და განმტკიცების მხრივ მიღწეული დიდობა მეცხოველეობის მიუხედავად, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მოიპოვდა უაღრესად სერიოზული ნაცონანებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. მრავალი კოლმეურნეობა თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქციებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შექმნას, რის შედეგადაც კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობიდან — 4115 კოლმეურნეობიდან 1939 წლის 1 ივლისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით 1941 კოლმეურნეობას ანუ $47,2\%$ -ს სრულიად არა აქვს მეცხოველეობის ფერმები.

სრულიად არა აქვთ მეცხოველეობის ფერმები აჭარის ასსრ კოლმეურნეობათა 90% -ს, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათა 45% -ს, სამხრეთ-ოსეთის აეტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა 54% -ს, ახალციხის რაიონის — 90% -ს, ადგენის — 85% -ს, ასპინძის — 58% -ს, თბილისის — 48% -ს, ქუთაისის — 61% -ს, ზესტაფონის — 75% -ს, ჩხარის — 92% -ს, კიათურის — 93% -ს, ორჯონიქიძის — 83% -ს, ონის — 60% -ს, ამბროლაურის — 84% -ს, ცაგერის — 75% -ს, გეგმიჭორის — 62% -ს და ჩხოროწყვეს რაიონის — 60% -ს.

კოლმეურნეობათა მნიშვნელოვან რაოდენობას სრულიად არა აქვს ფერმები, ამავე დროს ბევრმა კოლმეურნეობამ მოაწყო ისეთი უწყვილესი ფერმები, რომლებიც კოლმეურნეობებს არ აძლევენ არც სათანადო საქონლიანობას, არც სათანადო შემოსავალს მოუხედავად — იმისა, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს მოეპოვათ უდიდესი გამოუყენებელი შესაძლებლობანი საზოგადოებრივი პირუტყვის მოშენებისა და დიდი და შემოსავლიანი მეცხოველეობის ფერმების ორგანიზაციისათვის.

1939 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ფერმებში 4-მდე სული ძრობა ჰყავდა: ხაშურის რაიონის კოლმეურნეობათა $21,6\%$ -ს, ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობათა $23,6\%$ -ს, სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობათა $55,4\%$ -ს, ჩხარის რაიონის კოლმეურნეობათა $30,9\%$ -ს და სრულიად არა ჰყავთ ძრობების საზოგადოებრივი ჯოვი ხაშურის რაიონის კოლმეურნეობათა $61,3\%$ -ს, სამხრეთ-ოსეთის აეტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა $48,2\%$ -ს და ჩხარისტაურის რაიონის კოლმეურნეობათა $55,7\%$ -ს.

1133 კოლმეურნეობიდან, რომლებსაც მეცხვარეობის ფერმები აქვთ, 43% -ს ფერმებში ჰყავს 100 სულზე ნაკლები ცხვარი, ხოლო 3126 კოლმეურნეობას სრულიად არა ჰყავს ცხვერების საზოგადოებრივი ფარა, ხაშურის რაიონში 40-მდე სული ცხვარი და ოხა ჰყავდა ყველა კოლმეურნეობის $21,1\%$ -ს, წალკის რაიონში — $13,9\%$ -ს, განის რაიონში — $16,6\%$ -ს და სრულიად არა აქვს მეცხვარეობის ფერმების ოქლავის რაიონის კოლმეურნეობათა $79,7\%$ -ს იმ დროს, როდესაც თელავის რაიონის კოლმეურნეთა ნაწილს პირად სარგებლობაში ჰყავს 80 სულამდე ცხვარი. 5-მდე დედა ღორი ჰყავს სილნალის რაიონის კოლმეურნეობათა $23,2\%$ -ს, სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობათა $26,2\%$, წულეუდის რაიონის — $35,4\%$ -ს და მახარაძის რაიონის — $37,5\%$ -ს, ხოლო საქართველოს სსრ 2354 კოლმეურნეობას სრულიად არა ჰყავს დედა ღორი.

ზოგიერთ რაიონში ძალიან სუსტად არის დაყენებული მუშაობა კინოს ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. 1938 წელს დუმეთის რაიონის კოლმეურნეობებში ძროხების მხოლოდ 1% იყო დაგრილებული ჯიშიანი მწარმოებლებით, კასპის რაიონში — 20%, გურჯაანის რაიონში — 26%, მახარაძის რაიონში — 10%, და სილნალისა და წითელწყაროს რაიონებში ერთად — 26%.

არადამაკაცოფილებლად სრულდება 1939 წელს ჯიშიანი მწარმოებლების გამოსხრილის, შემოყვანისა და კოლმეურნეობებისათვის მიყიდვის გეგმა.

იმის შედეგად, რომ ჯერ კიდევ არასაქმაო მუშაობა მეცხოველეობაში მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის, კვლავ არსებობენ პირუტყვის ეპიზოორიური დაავადების გავრცელების კერები, განსაკუთრებით „პოვალკის“, ცუმბირის წყლულის, ღორის კირის, ცხვრის მუნის კერები, და ძალიან სუსტად ტარდება ბრძოლა ბრუცელოზის წინააღმდეგ.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, აგრეთვე კოლმეურნეობათა არასაქმაო კურადღებაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმი-სადმი, გამოიწვია მოზარდებულის მნიშვნელოვანი დახმცვა და მეცხოველეობის განვითარების 1938 წლის გეგმის შეუსრულებლობა მთელ რიგ რაიონებში. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა კასპის რაიონში შეასრულა შხოლოდ 93,3%-ით, თელავის რაიონშია — 96%, სილნალის რაიონშია 96,1%, ბალდათის რაიონშია — 91,5%, ამბროლაურის რაიონშია — 94,6%; ღორების სულადობის გეგმა ხაშურის რაიონშია შეასრულა — 69,1%, გორის რაიონშია — 69,8%, კასპის რაიონშია — 49,6%, ალბულის რაიონშია — 62,2%; ცხვრებისა და თხების სულადობის გეგმა ყაბბეგის რაიონშია შეასრულა — 95,3%, თიანეთის რაიონშია — 96,2%, ბორჩალოს რაიონშია — 97,7%, ახალქალაქის რაიონშია — 97,3%.

ხმების გამოსხრდის გეგმა ახალცხის რაიონშია შეასრულა — 41,6%, ლუქ-სემბურგის რაიონშია — 77,3%, საგარეჯოს რაიონშია — 87,2%, თიანეთის რაიონშია — 60,9%, ჩხარის რაიონშია — 37,9%, ტყიბულის რაიონშია — 73,5%; ბატკენების გამოსხრდის გეგმა ბორჯომის რაიონშია შეასრულა — 92,6%, საგარეჯოს რაიონშია — 82%; გოქების გამოსხრდის გეგმა ხაშურის რაიონშია შეასრულა — 58,8%. გორის რაიონშია — 43,1%, წითელწყაროს რაიონშია — 66,2%, სილნალის რაიონშია — 77,2%, ალბულახის რაიონშია — 36,7%.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დღემდეც ვერ შესძლო უზრუნველეყო საკოლმეურნეო პირუტყვის ნორმალური ზოოვეტერინარული მომსახურება. არსებულ ზოოვეტერინარულ უბნებს აკლიათ 177 ვეტერიმი და ზოოტექნიკოსი. ხორცის ჩაბარების არსებულ სისტემასთან ერთად საქართველოში საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების საქმეს ხელს უშლის აგრეთვე საკეები ბაზის მოუწესრიგებლობა, და ჩამორჩენილობა. საძმო-რების გამოყენების საქმეში გაბატონებულია სრული გაუპიროვნება, რის შედეგად არ ტარდება მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებანი, რაც ყოველწლიურად ამცირებს მათს საკვებ ხარისხს. კოლმეურნეო-

შებზე ჯერ კიდევ არ არის მიმაგრებული 875 ათასი ჰექტარი ვარგისის ხაზი საქართველოს სსრ შიგნით და 452 ჰექტარი რესპუბლიკის გარეთ.

წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, წალკის, თელავის და ყვარლის რაიონებში თვითნებურად ხნავენ და ავიწროებენ პირუტყვის გასარეჭად დაწესებულ გზებს, რაც სულ უფროდაუფრო მეტად აძნელებს პირუტყვის გადარევას. მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების 1938 წელს დაწესებული გეგმა 3.800 ჰექტარის რაოდენობით შესრულებულია მხოლოდ 29%, ხოლო თბილისის, ახალქალაქის, წალკის და ზოგიერთ სხვა რაიონებს სრულიად არ ჩაუტარებიათ რაიმე ღონისძიებანი მდელოებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად. რაიონების უმრავლესობაში სისტემატურად არ სრულდება საკეთები ბალახების თესვის გეგმა, ხოლო საკეთები ბალახების არსებული ნათესები, სათანადო პატრონობის უქონლობის გამო, მოუკლელია და იღვება.

1939 წელს მეცხოველეობის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საწარმოო კრედიტების ათვისება სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმღინარეობს. 1939 წლის 1 ივლისისათვის მთლიანად რესპუბლიკაში მეცხოველეობის კრედიტები ათვისებულია მხოლოდ 21,8% -ით; განსაკუთრებით დიდ ჩამორჩენას აქვს აღგილი კრედიტის ათვისების საქმეში — მეცხოველეობის მშენებლობის ხაზით (ათვისებულია 13%), მეფუტკრეობის ხაზით (ათვისებულია 13,5%) და ჯიშიანი პირუტყვის ხაზით (ათვისებულია 14,1%).

იმ მიზნით, რომ თავის დროზე განხორციელდეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. გ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 42, მუხ. 316) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღვნენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სარაიონო კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში ფართო განხილვა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილებისა „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებითა შესახებ“, რათა იგი დაყვანილ იქნას თითოეულ კოლმეურნემდე და დარაზმონ კოლმეურნეთა ფართო მასები კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის საბრძოლვლად.

2. სასურველად და მიზანშეწონილად სთვლიან რა, რომ თითოეულ კოლმეურნეობას ჰქონდეს მეცხოველეობის სამი ფერმა, ერთი — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, მეორე — მეცხვარეობისა და მესამე — მელორეობისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

ავალებენ საქ. კ. 3. (ბ) ყველა საოლქო და სარაიონო კომიტეტს, აფხაზეთის და ავარის ასრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ლექის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს დაუყოვნებლივ გაშალონ ყველა კოლმეურნეობაში სათანადო მუშაობა და მიაღწიონ იმას, რომ თითოეულ კოლმეურნეობას ჰქონდეს ყოველ შემთხვევაში არანაკლებ 2 მეცხოველობის ფერმისა, აქედან ერთი ფერმა მსხვილფეხა ჩეიანი პირუტყვისა და მეორე მეცხვარეობის (მეთხობის) ან მელორეობისა.

3. საჭიროა მივაღწიოთ, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. 3. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, თითოეულ საკოლმეურნეო ფერმას ჰყავდეს პირუტყვის სულადობის შემდეგი მინიმუმი:

ა) მსხვილფეხა ჩეიანი პირუტყვის საკოლმეურნეო ფერმას აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ყველა კოლმეურნეობაში;

სადაც მიწის ფართობი 150 ჰექტარამდეა — არანაკლებ 8 ძროხისა; სადაც მიწის ფართობი 150 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 400 ჰექტარს არ აღმატება — არანაკლებ 16 ძროხისა;

სადაც მიწის ფართობი 400 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 800 ჰექტარს არ აღმატება — არა ნაკლებ 28 ძროხისა;

სადაც მიწის ფართობი 800 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 1500 ჰექტარს არ აღმატება — არანაკლებ 45 ძროხისა;

სადაც მიწის ფართობი 1500 ჰექტარზე მეტია — არანაკლებ 60 ძროხისა.

ბ) მსხვილფეხა ჩეიანი პირუტყვის საკოლმეურნეო ფერმას დასაელეთ საქართველოს ყველა რაიონის კოლმეურნეობებში:

სადაც მიწის ფართობი 120 ჰექტარამდეა, არანაკლებ 5 ძროხისა;

სადაც მიწის ფართობი 120 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 200 ჰექტარს არ აღმატება — არანაკლებ 7 ძროხისა;

სადაც მიწის ფართობი 200 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 500 ჰექტარს არ აღმატება — არანაკლებ 15 ძროხისა;

სადაც მიწის ფართობი 500 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 1000 ჰექტარს არ აღმატება — არანაკლებ 25 ძროხისა;

სადაც მიწის ფართობი 1000 ჰექტარზე მეტია — არანაკლებ 35 ძროხისა.

გ) მელორეობის თითოეულ ფერმას საქართველოს სსრ ყველა კოლმეურნეობებსა და რაიონში უნდა ჰყავდეს სულადობის მინიმუმი:

სადაც მიწის ფართობი 150 ჰექტარამდეა — არა ნაკლებ 2 დედა-ლორისა;

სადაც მიწის ფართობი 150 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 400 ჰექტარს არ აღმატება — არანაკლებ 4 დედა-ლორისა;

სადაც მიწის ფართობი 400 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 800 ჰექტარს არ აღმატება — არანაკლებ 8 დედა-ლორისა;



სადაც მიწის ფართობი 800 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 1300 ჰექტარზე მეტია
აღემატება — არანაკლებ 12 დედა-ლორისა;

სადაც მიწის ფართობი 1500 ჰექტარზე მეტია — არანაკლებ 18 დედა-
ლორისა.

დ) მეცხვარეობის (მეთხეობის) თითოეულ საკოლმეურნეო ფერმას უნდა
კავდეს სულადობის მინიმუმი:

აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში:

სადაც მიწის ფართობი 300 ჰექტარამდეა — არანაკლებ 60 დედა-ცხერისა
(ან თხისა);

სადაც მიწის ფართობი 300 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 1000 ჰექტარს არ
აღემატება — არანაკლებ 120 დედა-ცხერისა (ან თხისა);

სადაც მიწის ფართობი 1000 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 2.000 ჰექტარს არ
აღემატება — არანაკლებ 180 დედა-ცხერისა (ან თხისა);

სადაც მიწის ფართობი 2000 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 3000 ჰექტარს არ
აღემატება — არანაკლებ 240 დედა-ცხერისა (ან თხისა);

სადაც მიწის ფართობი 3000 ჰექტარზე მეტია — არანაკლებ 350 დედა-
ცხერისა (ან თხისა).

დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში:

სადაც მიწის ფართობი 150 ჰექტარამდეა — არანაკლებ 20 დედა-ცხერისა
(ან თხისა);

სადაც მიწის ფართობი 150 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 400 ჰექტარს არ
აღემატება — არანაკლებ 30 დედა-ცხერისა (ან თხისა);

სადაც მიწის ფართობი 400 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 1000 ჰექტარს არ
აღემატება — არანაკლებ 50 დედა-ცხერისა (ან თხისა);

სადაც მიწის ფართობი 1000 ჰექტარზე მეტია, მაგრამ 2000 ჰექტარს არ
აღემატება — არანაკლებ 80 დედა-ცხერისა (ან თხისა);

სადაც მიწის ფართობი 2000 ჰექტარზე მეტია — არანაკლებ 100 დედა-
ცხერისა (ან თხისა).

4. დავვალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სარაიონო კომი-
ტეტს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამსრეთ-
ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და რაი-
ონულ აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) უახლოეს ვადაში შეისწავლონ ცალქე თითოეულ კოლმეურნეობაში
მეცხველეობის განვითარების პირობები, დასახონ კონკრეტული ონინისძიებანი
და შეუდგნენ ახალი ფერმების მოწყობას და არსებული ფერმების გამსხვილერ-
თეულებას იმ ანგარიშით, რომ ფერმებში პირუტყვის სულადობის დაწესებულ
მინიმუმს კოლმეურნეობებმა მიაღწიონ არაუგვიანეს 1942 წლის დამლევისა,
ხოლო 1940 წლის დამლევამდე ფერმებში პირუტყვის მინიმალური სულადობა
შეადგინდეს საქართველოს სსრ ყველა კოლმეურნეობაში. პირუტყვის სულადო-
ბის დაწესებული მინიმუმის არანაკლებ $60\% - \text{სა}$;

ბ) განუმარტონ ფერი კოლმეურნეობას და კოლმეურნეებს, რომ სპონსორები შირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად, კოლმეურნეობებს, რომლებსაც აქვთ მეცხველეობის სამი ფერმა მსხვილფეხა რეიანი პირუტყვისა, მელორეობისა და მეცხვარეობისა პირუტყვის სულადობის მინიმუმით, — ხორცის ჩაბარების ნორმები შეუმცირდებათ 10% -ით;

გ) ახალი ფერმების მოწყობისა და ძერმების გამსხვილერთულების მიზნით, დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა კოლმეურნეებისაგან შეისყიდონ ხბოები და უშობლები, ამასთან რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს სახელმწიფო შესყიდვის ფასებში ფულადი ანაზღაურების გარდა, დაარიცხონ კოლმეურნეებს მათ მიერ ფერმების შესავსებად ჩაბარებული ხბოსათვის 10 შრომა-დღემდე და უშობლისათვის — 20 შრომა-დღემდე, ჩაბარებული ხბოს ან უშობლის ხარისხის მიხედვით;

დ) განუმარტონ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს, რომ ფერმისათვის მიყიდული ხბოებისა და უშობლებისათვის კოლმეურნეებზე დარიცხული შრომა-დღეები არ ჩაითვლება წლის შრომა-დღეების იმ სავალდებულო მინიმუმში, რომელიც უნდა ჰქონდეს თითოეულ შრომისუნარიან კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს, თანახმად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილებისა „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განივებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ 1სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 34, მებ. 235).

5. იმ მიზნით, რომ ლიკვიდირებულ იქნას ჩამორჩენა საკვები ბაზის განვითარების საქმეში და საესებით იქნას უზრუნველყოფილი საკოლმეურნეო მეცხველეობა უხეში და მცვრიან საკვებით, დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიტა:

ა) აღმოხერის გაუტიროვნება საძოვრების გამოყენების საქმეში, რისთვის 1940 წლის 1 იანვრობდე დაამთავროს შიდარესპუბლიკური საზამთრო და საზაფხულო საძოვრების მიმაგრება მუდმივ სარგებლობაში, აგრეთვე იმ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მიმაგრება გრძელვადიანი სარგებლობის პირობებით, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით გამოყოფილია საქართველოს სსრ-ისთვის მეზობელ რესპუბლიკებში;

ბ) ორი თვის გადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს განსახილველად წარმოუდგინოს საძოვრებისა და მდელოების გაუმჯობესების გაშლილი ღონისძიებანი ცალკე თითოეული რიონის მიხედვით (გზების გაყვანა ძნელად მისასვლელ საძოვრებამდე, წყლით უზრუნველყოფა, ფარცხვა, გამოთხვევა და სხვ.);

გ) ერთი თვის გადაში შეამოწმოს პირუტყვის გადასარეკი გზების მდგომარეობა და 1940 წლის დამდგენისათვის მთლიანად აღადგინოს პირუტყვის გადასარეკი გზები ძველ საძოვრებზე;

დ) შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში დასამტკიცებლად წარმოადგინდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საკვები კულტურების თესვის 1940 წლის რაიონობრივი გეგმა, ამასთან გაითვალისწინოს, რომ საჭიროა საკვების ნათესების გაფართოება და ახალი ძეირფასი სახის საკვები კულტურების დაწერვა.

6. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) კველა საოლქო და სარაიონო კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ისეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და კველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს დაუყოვნებლივ ჩატარიონ საჭირო ღონისძიებანი და მთლიანად უზრუნველჰყონ კველა კოლმეურნეობა უხეში და მცრიანი საკვებით 1939/40 წლის ზომთრისათვის, რისთვისაც:

ა) უზრუნველჲყონ თიბეის გულმოდგინედ და თავის დროზე ჩატარება კველა კოლმეურნეობაში, აგრეთვე თივის მიტანა პირუტყვის სადგომ ადგილებთან;

ბ) მოაწყონ კველა სათიბი ფართობის მეორე მოთიბვა, სადაც კი ეს შესაძლებელია;

გ) შეამოწმონ საკვები ბალახების ნათესების მდგომარეობა და მიიღონ კონკრეტული ზომები მათი მოვლის გაუმჯობესებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის იმ ანგარიშით, რომ მიღწეულ იქნას საკვები კულტურების მაღალი მოსავალი;

დ) შეამოწმონ დასილოსების მიმღინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები, რათა ცალკე თითოეულ კოლმეურნეობაში თავის დროზე და მთლიანად შესრულდეს 1939 წელს სილოსის ჩადების დაწესებული გეგმა და ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ჩადებული სილოს მასის მაღალი ხარისხი;

ე) სპეციალურ სასილოსე ნათესებთან ერთად მაქსიმალურად გამოიყენონ დასილოსების მიზნებისათვის ტყის მცენარეულობა და განსაკუთრებით მებოსტნეობის ნარჩენები, ზაქრის ჭარხლის ფოჩი და სამკელი კულტურები;

ვ) მაქსიმალურად მოახდინონ თივის აღების სამუშაოთა მექანიზაცია, მოაწყონ მთელი არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების უკეთ გამოყენება თივის აღებაზე და მიაღწიონ იმას, რომ მტს-ებმა სავსებით შეასრულონ თივის შექნიზებული აღების დაწესებული გეგმა;

ზ) საჭირო დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს და უცილობლივ უზრუნველჲყონ მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობის დაწესებული გეგმის შესრულება ცალკე თითოეული კოლმეურნეობის მიხედვით, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი სამშენებლო მასალები;

თ) დაუყოვნებლივ აღმოფხვრიან პირუტყვის მეტიზაციის 1939 წლის გეგმის შესრულების საქმეში არსებული ჩამორჩენა იმ ანგარიშით, რომ თავის დროზე შესრულდეს პირუტყვის მეტიზაციის გეგმა ცალკე თითოეულ კოლმეურნეობაში და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სადედე სულა-

დობის დაგრილებას წმინდა ჯიშის მწარმოებლებითა და უმაღლესი გრძელებით;

ი) გაატარონ ლონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირუტყვის მოვლის გადაჭრით გაუმჯობესებას ფერმებში, რისთვისაც ორი თვის ვადაში გადასწყონ იმ პირთა შემადგენლობა, რომლებიც მომახურეობას უწევენ პირუტყვს — და გამოძყონ ამ საქმისათვის ყველაზე პატიოსანი და კეთილსინ-დისიერი კოლმეურნები, რომლებიც იცნობენ პირუტყვს და რომლებსაც უყვართ იგი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) ორი დეკადის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს დასამტკიცებლად წარმოუდგინონ 1939 წლის დამლევამდე „პოვალკით“, ცომიბირის წყლულით, მუნითა და ჭირით პირუტყვის დაავადების ლიკვიდაციის ლონისძიებანი;

ბ) ორი თვის ვადაში სავსემით დააკომპლექტოს ყველა ზოოვეტერინარული პუნქტი საჭირო რაოდენობის სპეციალისტებით.

8. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სარაიონო კომიტეტებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს 10-დან 20 აგვისტომდე ჩატარონ კოლმეურნებათა თავმჯდომარების, ფერმათა გამგების ვეტერინარული ექიმების, ზოოტექნიკოსებისა და მეცხოველეობის მოწინავეთა რაიონული თათბირები, რომლებზედაც დაწერილებით განიხილონ ლონისძიებანი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1939 წლის 8 ივლისის „კოლმეურნებობში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ლონისძიებათა შესახებ“ მიღებული დადგენილების შესრულებისათვის.

9. თივის აღების მექანიზაციის დანერგვის მიზნით, ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაავალონ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) მოაწყოს 1940 წლის მოსავლის აღების კამპანიისათვის 5 სამანქანო სათიბი რაზმი ახალქალაჟის, ბოგდანოვკის, წითელწყაროს, წალკისა და ბაშკი-ჩეთის სამანქანო სატრაქტორო სადგურებთან, ხოლო 1941 წლის მოსავლის აღების კამპანიისათვის, დამატებით მოაწყოს 4 სამანქანო სათიბი რაზმი სილნაღის, თბილისის, ბორჩალოსა და საგარეჯოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან;

ბ) შემოიტანოს 1940 წელს საქართველოს სსრ-ში შემდეგი რაოდენობის თივის ასაღები მანქანები: ფართოსტაცი სათიბი მანქანა — 5 ცალი, ფართოსტაცი ფოცხი — 4, ცხენით სათიბი მანქანა — 1000, ცხენის ფოცხები — 600, ორმოებსათხელი მანქანები — 4, ჭაობის გუთნები — 5, სატრაქტორო სილოს-მჭრელი მანქანები — 65, ცხენის სილოსმჭრელი მანქანები — 120, საონგანო

საზეინავი მანქანები — 5, ჩალისმჭრელი მანქანები — 440, ფესვსაჭრელი მანქანები — 180, კოპტონსამტვრევი მანქანები — 35, მარცვალსამტვრევი მანქანები — 50, საკვებმაორთქლებელი მანქანები — 35 და ცხენის ამძრავები — 140.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ ყველა პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციას და სამიწათმოქმედო ორგანოებს დაუყოვნებლივ მოულონ ბოლო კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების საკითხებისადმი უდარდელ დამოკიდებულებას და დარაზმონ ყველა კომუნისტი, კომეაშირელი, კოლმეურნე და მეცხოველეობის სპეციალისტი, რათა აწარმოონ ბრძოლა იმისათვის, რომ ბოლშევიკურად შესრულდეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივნისის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების, აგრეთვე კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომი ზრდის საქმეში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი კ. ჩარევიანი.

1939 წ. აგვისტოს 1. № 1446.
თბილისი.

სახალხო კომისართა საგაონო დადგენილებანი

72. ქ. თბილისში ნებადაურთველი და უპროექტო მშენებლობის ლიკვიდაციისა და ახლად ახალი სებელი ტერიტორიების აღნაგობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისში საგრძნობლად გავრცელდა ნებადაურთველი და უპროექტო მშენებლობა. ხშირად ეს მშენებლობა სწარმოებს ისეთ მიწებზე, რომლებიც ქალაქის დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტით განკუთვნილია სამრეწველო, საბინაო, სოციალურ კულტურული მშენებლობისა და მწვანე სანიტარული ზონებისათვის.

აღნაგობისათვის თვითნებურად დაკავებული მიწების უმრავლესობა მოკლებულია ქალაქის კეთილმოწყობის ძირითად ელემენტებს (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროკენერგეტიკა, გზები და სხვ.).

ნებადაურთველი და უპროექტო მშენებლობა, რაც პატარა სახლებისა და ქოხმახების სახით უმთავრესად სრულიად მიუღებელი საშენი მასალისაგან ხორ-

კიელდება, არამარტო არღვევს რიგითობასა და გეგმაშეზომილობას ქადაგისა
ტერიტორიის ათვისების საქმეში, არამედ იწვევს ანტისანიტარიისა და ხანძრის
საშიშროების კერებს.

არის აგრეთვე ფაქტები, როდესაც ნებადაურთველი და უპროექტო მშე-
ნებლობა მიმდინარეობს რეინიგზის განსხვასების ზოლში და იმ სამშენებლო
მოედნებზე, რაც დათმობილი იქვთ ცალკეულ უწყებებსა და სამრეწველო საწარ-
მოებს, რომლებიც არამც თუ არ კრძალავენ ასეთ მშენებლობას, არამედ ხში-
რად მას საკუთარი სახსრებითაც კი ანხორციელებენ, რაც ადვირებს თვით
სამრეწველო საწარმოთა შემდგომ მშენებლობას.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საორიენტა-
ციონ ცნობებით თბილისის რაიონულმა ორმასრულებელმა კომიტეტმა 1936 წელს
გააფორმა და კოლმეურნეობებს მუდმივ სარგებლობაში სახელმწიფო აქტით
მიამაგრა ქ. თბილისის მიჯნის ფარგლებში არსებული მიწები 6890 ჰექტარის
რაოდენობით.

ქალაქის ტერიტორიის ათვისებისა და აღნაგობის ზემოთაღნიშნული არა-
ნორმალობანი იმით არის გამოწვეული, რომ თბილისის ქალაქის საბჭო და
ქ. თბილისის რაიონული საბჭოები, აგრეთვე სასამართლო ორგანოები და მილი-
ციის ორგანოები საგმაო ბრძოლას არ აწარმოებენ იმ პირთა და ორგანიზა-
ციათა წინააღმდეგ, რომლებიც ქალაქის ტერიტორიაზე უპროექტო და ნება-
დაურთველ მშენებლობას ეწევიან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს თბილისის ქალაქის საბჭოს:

ა) არ დაუშევის ქალაქის მიწებზე ისეთ შენობათა აგება, რომლებიც ნება-
დართული არ არის და რომელთაც არა აქვთ დამტკიცებული პროექტები, არ
დაუშევა დაწყებულ შენობებში ჩასახლება, დაუყოვნებლივ აილოს ისინი და
მოახდინოს საშენი მასალის რეკვიზიცია;

ბ) ინდივიდუალური და კოლექტური საბინაო მშენებლობისათვის გამო-
ჟყოს ქალაქის ტერიტორიაზე, ქ. თბილისის დაგეგმვისა და სოციალისტური
რეკონსტრუქციის პროექტის შესაბამისად, მოედნები:

ორჯონიქიძის სახელმის რაიონში — საბურთალო

და ლენინის რაიონში — მიწები ლოტკინის მთის გადაღმა;

გ) შეიმუშაოს 1939 წელს ამ მოედნების დეტალური დაგეგმისა და კეთილ-
მოწყობის პროექტები, შეადგინოს საცხოვრებელი სახლების ტიპიური პროექ-
ტები და არაუგვიანეს 1939 წ. 1 აგვისტოს შეუდგეს მიწის ნაკვეთების
გამოყოფას ინდივიდუალურ და კოლექტური აღნაგობისათვის;

დ) მოედნების დეტალური დაგეგმვის პროექტების დამუშავებისას გაი-
თვალისწინოს მოედნების ზონებად დაყოფა მშენებლობის სართულიანობის მი-
ხედვით, ამასთანავე ძირითადი მაგისტრალების გასწერით მიწის ნაკვეთები გან-
კუთვნოს მეტ სართულიან დიდი საცხოვრებელი სახლების ასაგებად;

მუხ.

3) გაითვალისწინოს ცალკე მოქალაქეთა ინდივიდუალური და კულტურული ური საბინაო შენებლობის რაიონებში გარეგანი კეთილმოწყობის ძირითადი სახეების თანდათანობით გაშლა იმ ვარაუდით, რომ პირველ ხანებში აუცილებლად მოწყობს წყალსადენი მაგისტრალები საერთო სარგებლობის ონკანებით, საჭირო მოწყობილობანი კანალიზაციის, გზების გაყვანისა და კეთილმოწყობის, გასანათებელი ელექტროქსელის გაყვანისა და სხვ. ხაზით;

3) შესწყვიტოს დაშენების, მიშენებისა და ახალ შენობების აგების უფლების მინიჭება ცალკე მოქალაქეთათვის ქალაქ თბილისის ტერიტორიის იმ ნაკვეთებზე, რომლებიც კომუნალურ და უწყებრივ სახლებს უჭირავთ.

2. აეკრძალოს ჟველა უწყებასა და ორგანიზაციას, მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობით, მიწის ნაკვეთების თვითნებურად დაკავება ქ. თბილისის ტერიტორიაზე და მათზე შენობების აგება თბილისის საქალაქო საბჭოს ნება-დაურთველად.

3. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანქს, სამრეწველო ბანქს და კომუნალურ ბანქს არ დაათინანსონ იმ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციათა მშენებლობანი, რომლებსაც თბილისის საქალაქო საბჭოსაგან არ მიუღიათ ნებართვა ქალაქის მიჯნის ფარგლებში მიწის ნაკვეთების დაკავების შესახებ და რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი ქალაქის საბჭოსთან შეთანხმებული გენერალური გეგმებითა და შენობათა ფასადების პროექტებით.

4. დაევალოს ჟველა უწყებასა და ორგანიზაციას, რომლებიც საცხოვრებელ სახლებს აშენებენთავიანთ საწარმოთა მშრომელებისათვის, ამ სახლებში საცხოვრებელი ფართობი უწინარეს ყოვლისა მისცენ ამ საწარმოს იმ მომზადეთ. რომლებსაც აქვთ სათანადო ნებართვის მიუღებლად ან დამტკიცებული პროექტების უქონლად აშენებული ქოხმახები, რაც აღემული უნდა იქნას თბილისის საბჭოს მითითებით.

5. დაევალოს უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მათ მიერწარმოებული ქაპიტალური მშენებლობის დამთავრების შემდეგ აიღონ მშენებელი მუშებისათვის აგებული დროებითი ბარაკები და სხვა დამხმარე სადგომები (საქანტორო, სასაწყობო და სხვ.).

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამბ. ხოშტარიას), თბილისის საქალაქო საბჭოს (ამბ. კოჭლამაზა-შვილს) და თბილისის საგარეუბნო რაიონის რაიონულ ილმასრულებელ კომიტეტს (ამბ. მელიქიშვილს) თვენახევრის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად წარმოუდვინონ ღონისძიებანი საქალაქო მშენებლობის საჭიროებისათვის იმ მიწების განთავისუფლების წესისა და ვადების შესახებ, რომლებიც მიმაგრებულია კოლმეურნეობებზე მუდმივ სარგებლობისათვის და რომლებიც ქალაქ თბილისის მიჯნის ფარგლებში მდებარეობენ.

7. ობილისის საქალაქო საბჭომ და ამიერკავკასიის სამხედრო შეიმუშაონ საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია იმ სასროლო მოედნების გადატანა, რომლებიც შესულია ქალაქის ტერიტორიაში და აფერხებენ მის გაფართოებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. აგვისტოს 2. № 1462.
თბილისი.

78. „სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილებაში, დამატების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 19 ივნისის დადგენილებისა „სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრკ კრ. 1934 წ. № 38, მუხ. 308; 1935 წ. № 15, მუხ. 110; № 41 მუხ. 347; 1936 წ. № 37, მუხ. 325; № 50, მუხ. 407; 1937 წ. № 50, მუხ. 211; № 73, მუხ. 352; სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 45, მუხ. 269; 1939 წ. № 4, მუხ. 16) და დამატებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 4 აგვისტოს დადგენილებისა „სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ — (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192; № 34, მუხ. 260; 1935 წ. № 15, მუხ. 94; № 25, მუხ. 144; 1936 წ. № 20, მუხ. 119; № 31, მუხ. 186; № 34, მუხ. 204; 1937 წ. № 15, მუხ. 111; საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 8, მუხ. 39; 1939 წ. № 10, მუხ. 43) შემოლებულ იქნას 1940 წლიდან:

1. დაზღვევა ცეცხლისაგან, წყალდიდობისაგან, მიწისძრისაგან, ზეავისაგან, მეწყერისაგან, გრიგალისაგან, ნიალვრისაგან, მეხის დაცემისა და ორთქლის ქვების აფერტებისაგან იმ შენობებისა, რომლებიც პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოქალაქებს შორაპნისა და კასპის საქილაქო ტიპის დასახლებულ ადგილებში.

2. დაზღვევა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ნათესებისა (გარდა ბოსტნებისა, ბალჩებისა და საკენკრევებისა, რომლებიც ეკუთვნის კოლმეურნებს, მეურნეობის განუსაზოგადოებულ ნაწილში, ერთპიროვნულ მეურნებისა და სხვა მოქალაქეებს) აგრეთვე ბალებისა და ენახების მოსავლის — დასველებისაგან, დაზერობისაგან, ჩახურების და წყალდიდობისაგან წალკისა და აღიგნის რაიონებში.

3. დაზღვევა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ნათესებისა და ბალგების კონკრეტული მოსახლისა კოლმეურნეობებში სეტყვისაგან, ნიალვრისაგან, ქარი-შხლისა და ცეცხლისაგან, ხოლო კოლმეურნეთა (მეურნეობის განუსაზოგადოებელ ნაწილში) ერთპიროვნულ მეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობებში სეტყვისაგან, ნიალვრისა და ქარიშხლისაგან გეგმვიორის რაიონში. ერთ ჰექტარზე დაზღვევის ნორმები დაწესდეს ისეთივე, როგორიც დაწესებულია გეგმების რაიონისათვის წყალდიღობისა, დასველებისა, ჩახურებისა და დაჭინობისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევის ხაზით.

სეტყვისაგან საშიშროების მხრივ გეგმებიორის რაიონი მიკუთვნებული იქნას პრეველ ზოლზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელვაზა.

1939 წ. აგვისტოს 2. № 1486.

თბილისი.

РУСТ 33,35
1, КЕ ИМЭЛ
1 12 СБ ГР З



81800000000: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელშერიღვის ქვეშ

მისამართისათვის

ფახი 40 კაა.

გამომცემლობა „კომუნისტი“-ს პოლიგრაფულმბირატი, ლენინის ქ. № 28
მთავლიტის რწმ. № ა—284 შეკვ. № 1024 ტირაჟი 2000